საქართველო
GEORGIA
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

59 თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., Kutaisi, 4600, Georgia
Tel.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
E-mail: atsu@atsu.edu.ge

ბრძანება

№ 01-04/94 13-12- 2017 წელი

ზამთრის სკოლის ორგანიზების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 11 (17/18) დადგენილების „ზაფხულისა და ზამთრის სკოლის ორგანიზების წესის“ შესაბამისად ზამთრის სკოლის საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ზამთრის სკოლის ფუნქციონირება განხორციელდეს 2018 წლის 05 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით და ნება დაერთოთ სტუდენტებს აითვისონ სასწავლო კურსები არა უმეტეს 2 კრედიტისა სასწავლო კვირის განმავლობაში. სტუდენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში.
2. სტუდენტთა განცხადებების (სტუდენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს ზამთრის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის ასლი) მიღება განხორციელდეს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრში 2018 წლის 22 იანვრიდან 2 თებერვლამდე.
3. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს, სტუდენტთა განცხადებების და ზამთრის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე, შექმნან სასწავლო ჯგუფები და უზრუნველყონ ისინი სწავლების გრაფიკით და აკადემიური პერსონალით.
4. სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსის შესაბამისად, სრული მოცულობით, სწავლისა და შეფასების მეთოდების სრულად გამოყენებით.

5. ზამთრის სკოლაში სწავლის საფასურის გაანგარიშება მოხდეს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად.

*მაგალითად, თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს 5 კრედიტი და მოცემულ პროგრამაზე სწავლის საფასურია 2250 ლარი, ზამთრის სკოლაში სწავლის საფასური გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 2250/60*5=187,5 ლ. (სადაც 2250 არის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, 60 - სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, 5 - სკოლის მსმენელის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა).*

6. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: სასწავლო პროცესი.

რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე